საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №57/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 22 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის №57/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- არ შეისწავლა საქმის ყველა გარემოება, არ მოუსმინა პროცესზე და არც გადაწყვეტილებაში ასახა მის მიერ დასახელებული გარემოებები, გამუდმებით უხეშად აწყვეტინებდა და არ ასრულებინებდა სათქმელს. მოსამართლემ დაინახა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, მაგრამ საქმე არ გადასცა საგამოძიებო ორგანოებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2017 წლის 07 ივნისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის სახით -- აშშ დოლარის ანაზღაურებას, რომლითაც მოახდენდა -- -- ქმედებით (მაშინდელი -- -- თანამდებობის პირის -- -- ბრალეულობით) დაკარგული საცხოვრებელი ქონების გამოსყიდვას, ასევე -- ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საქმეზე სასამართლო სხდომა ჩატარდა 2018 წლის 06 დეკემბერს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 22 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა (2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ამდენად, მოსამართლის მიერ პროცესის მონაწილისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტის დადგენის მიზნით, საქმეზე განხორციელდა სხდომის აუდიოოქმების შესწავლა.

2018 წლის 06 დეკემბრის სასამართლოს სხდომის ოქმის მოსმენის შედეგად ირკვევა, რომ მოსამართლე -- -- საუბრის დროს რამდენჯერმე აუწია ტონს, თუმცა მოსამართლის ქცევაში არ იკვეთებოდა პროცესის მონაწილისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვის ნიშნები.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაინახა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და მიუხედავად ამისა საქმე არ გადასცა საგამოძიებო ორგანოებს. საქმის მასალების მიხედვით, მსგავსი სახის ფაქტი, რითაც მოსამართლემ საქმის განხილვისას გამოკვეთილი სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ფაქტი დატოვა რეაგირების გარეშე, არ გამოვლენილა.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდებოდა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა (ერთმა წევრმა მხარი დაუჭირა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას)), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №57/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი